

ინდოევროპულ ენათა ოჯახი

(გაგრძელება)

იტალიკური ენები

იტალიკური ენების შტო აერთიანებს მკვდარ ენებს. ეს ენებია: ლათინური, ფალისკური, ოსკური, უმბრიული და სხვა. **ლათინური ენა** ამ შტოს უმნიშვნელოვანესი ენაა, რომლის საფუძველზეც განვითარდა ინდოევროპულ ენათა ოჯახის კიდევ ერთი შტო - რომანული ენები.

დაახლოებით 2500 წლის წინ ლათინური იყო უცნობი, პატარა ენა, რომელზეც ლაპარაკობდნენ რომში, იმჟამად საკმაოდ პატარა ქალაქში და მის შემოგარენში. თუმცა, რამდენიმე საუკუნეში რომაელებმა დიდი იმპერია შექმნეს, რამაც შეუწყო ხელი ლათინური ენის გავრცელებას. იმპერიამ მოიცვა მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი, დასავლეთ ევროპის უდიდესი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული. რომის იმპერიის ყველა ნაწილში ლათინური გახდა ძირითადი ენა და ჩაანაცვლა ამ ტერიტორიებზე მანამდე არსებული არაერთი ენა. იმპერიის ბევრმა ქვეშევრდომმა თავად თქვა უარი თავის ენაზე უფრო პრესტიჟული ლათინური ენის სასარგებლოდ. ამდენად, ლათინური იქცა მილიონობით ადამიანის უმთავრეს ენად სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ისევე როგორც ყველა სალაპარაკო ენა, ლათინური ენაც იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში სალაპარაკო ლათინური, ე.წ. ხალხური ლათინური (Vulgar Latin) საკმაოდ დაშორდა კლასიკურ ლათინურს. ხალხური ლათინურის რეგიონული ვარიანტებიც სულ უფრო შორდებოდა ერთმანეთს. რომის იმპერიის დამხობამ, ჩვ. წ.-ის მეხუთე საუკუნეში, კიდევ უფრო დააჩქარა ლათინური ენის რეგიონული ვარიანტების დიფერენციაციის პროცესი. კიდევ რამდენიმე საუკუნეში ლათინურ ენაზე მოლაპარაკეებს საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, ბალკანეთში აღარ ესმოდათ ერთმანეთის. მერვე - მეცხრე

საუკუნეებში ცხადი გახდა, რომ ამ ენებისთვის ლათინურის წოდებას აზრი აღარ ჰქონდა და დაიწყო დამოუკიდებელი ენების ფორმირების პროცესი.

რომანული ენები

მაშასადამე, რომანული ენები არის ახლომონათესავე ენების ჯგუფი, რომლებიც განვითარდა ხალხური ლათინური ენიდან სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და ჩამოყალიბდა როგორც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ქვეჯგუფი. ამ ქვეჯგუფის ძირითადი ენებია: ფრანგული, ესპანური, იტალიური, პორტუგალიური, კატალანური, გალისიური, პროვანსული, რუმინული, სარდინიული, აწ მკვდარი დალმაციური და სხვა.

რომანული ენების საერთო წარმომავლობის დადგენა ძალზედ ადვილია მათი თვალსაჩინო მსგავსების გამო. აღნიშნულ ენებს არა მხოლოდ სიტყვათა მარაგი აქვს საერთო, არამედ ძალიან დიდია მსგავსება მორფოლოგიურ დონეზეც.

სახელწოდება „რომანული“ გამოხატავს რომანული ენების უდავო კავშირს რომთან.

პირველი წერილობითი ძეგლები რომანულ ენებზე ჩნდება მე-9 საუკუნეში ფრანგული ენისათვის, მე-10 საუკუნეში ესპანურისა და იტალიურისათვის, მე-12 საუკუნეში პორტუგალიურისათვის და მე-16 საუკუნეში რუმინული ენისათვის.

21-ე საუკუნის დასაწყისში თითქმის 900 მილიონი ადამიანისთვის რომანული ენები მშობლიური ან მეორე ენაა. მთელს მსოფლიოში ეს ენები გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისთვის, როგორც სახელმწიფო, ოფიციალური ენა, ისე ჩვეულებრივი, საკომუნიკაციო საშუალება იმ ქვეყნებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან რომანულ ენებზე მოლაპარაკე ქვეყნებს. რომანული ენების ასეთი დიდი გავრცელება, ცხადია, დაკავშირებულია საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიურ პოლიტიკასთან, რამაც განაპირობა ამ ენების გავრცელება მათ ყოფილ კოლონიებში ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე.

ფრანგული ენა ერთადერთი სახელმწიფო ენაა საფრანგეთში. გარდა საფრანგეთისა, ფრანგული ენა მეორე ან ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა ბელგიაში, შვეიცარიაში და კანადაში. ფრანგული ენა ასევე გავრცელებულია საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში აფრიკასა და ამერიკაში, კერძოდ: ალჟირში, მაროკოში, კონგოს რესპუბლიკაში, გვინეაში და სხვა. ფრანგულ ენას მშობლიურ ენად მიიჩნევს 110 მლნ. ადამიანი, ხოლო მეორე ენად 190 მლნ. ადამიანი. ფრანგულ ენას ოფიციალური ენის სტატუსი აქვს 29 ქვეყანაში, იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა. ფრანგული ენა განვითარდა ხალხური ლათინური ენიდან გალიის ტერიტორიაზე რომაელთა მიერ გალების დაპყრობის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ გალების ენა - გალური შედის კელტურ ენათა ოჯახში. გალების ენიდან შემორჩენილია ზოგიერთი სიტყვა. უფრო მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები შემორჩა გერმანიკული ტომის - ფრანკების ენიდან, რომლებმაც დაიპყრეს გალია ახ. წ. მე-5 საუკუნეში. მათ დაარსეს თავიანთი სამეფო, რომელსაც „ფრანკების ქვეყანა“, „საფრანგეთი“ ეწოდა. ფრანკები, რაოდენობით ბევრად ჩამოუვარდებოდნენ გალიის გალო-რომანულ მოსახლეობას, რამაც ხელი შეუწყო მათ რომანიზაციასა და საბოლოო ჯამში სრულ ასიმილაციას. ფრანკებმა დიდი გავლენა მოახდინეს საფრანგეთის კულტურასა და თვით ფრანგულ ენაზე. გალური სუბსტრატისა და გერმანიკული სუპერსტრატის გავლენით აიხსნება ენის ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებები.

ესპანური ენა. მოლაპარაკეთა მრავალრიცხოვნობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ესპანური ენა, რომელსაც მშობლიურ ან მეორე ენად 470 მლნ. ადამიანი მიიჩნევს. ამ მხრივ, ესპანური ენა მხოლოდ ჩინურ ენას თუ ჩამოუვარდება. ესპანური ენა სახელმწიფო ენაა ესპანეთში, მექსიკაში, არგენტინაში, ჩილეში, ბოლივიაში, პერუში და სხვა ქვეყნებში. ესპანური ენა ასევე გავრცელებულია აშშ-ის სამხრეთ ნაწილში ინგლისურ ენასთან ერთად. ესპანური ენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა.

ესპანური ენა შეიქმნა ხალხური ლათინურისა და იბერიის რომაული პროვინციების ადგილობრივი მოსახლეობის ენის შერწყმის საფუძველზე. ესპანური 34 მლნ. ადამიანის ენაა, რომლებიც ცხოვრობენ ესპანეთის ტერიტორიაზე. მათ შორის არიან კატალონელები, ბასკები და გალისიელები, რომელთაც თავიანთი ენებიც აქვთ: კატალონელებს - კატალანური, ბასკებს - ბასკური და გალისიელებს - გალისიური. ბასკური ენა არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ჯგუფს.

იტალიური ენა სახელმწიფო ენაა შემდეგ ქვეყნებში: იტალია, სან მარინო, შვეიცარია. იგი უმცირესობის ენაა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის: მალტაზე, მონაკოში, ლიბიაში და სხვა. იტალიურ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე დღეისათვის ლაპარაკობს 59 მლნ. ადამიანი, ხოლო იტალიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მთლიანი რაოდენობა 85 მლნ.-ს აღწევს.

იტალიური ენის ფორმირების პროცესი დაახლოებით მე-18 საუკუნის შუა ხანებში დასრულდა. ისტორიულად იტალიურის ენად ჩამოყალიბების პროცესი იმ პერიოდში მიმდინარეობდა, როცა ქვეყნის კულტურული ცხოვრების ცენტრი ცენტრალური იტალია, კერძოდ კი უპირატესად ტოსკანის მთავარი ქალაქი, - ფლორენცია გახდა. ფლორენცია არის მშობლიური კუთხე დანტე ალიგიერის, ფრანჩესკო პეტრარკასა და ჯოვანი ბოკაჩოსი. სწორედ ამ მწერლების შემოქმედებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი იტალიის საერთო ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში, ანუ იტალიური სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა ტოსკანური დიალექტის, კერძოდ ფლორენციის კილო-კავის საფუძველზე.

იტალიაში არსებობს ბევრი ადგილობრივი დიალექტი თუ მონათესავე ენები, რომლებიც ისე ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ იტალიურის, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ენის არარსებობის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა იტალიის რესპუბლიკის ერთიანი და გამართული ფუნქციონირება.

პორტუგალიური ენა სახელმწიფო ენაა პორტუგალიასა და ბრაზილიაში. იგი ასევე გავრცელებულია პორტუგალიის ყოფილ კოლონიებში აფრიკასა და აზიაში, მაგ.

მოზამბიკში, ანგოლაში და სხვა. ამ ენაზე დღეისათვის 240 მლნ. ადამიანი ლაპარაკობს და პორტუგალიური ენა მეშვიდე ყველაზე გავრცელებულ ენად ითვლება მსოფლიოში.

კელტური ენები

კელტურ ენებს, ტრადიციულად, ყოფენ ორ ჯგუფად: კონტინენტური და კუნძულის (Insular) კელტური ენები. ამ ენებს კუნძულის ეწოდა იმის გამო, რომ ისინი გავრცელებულია ბრიტანეთსა და ირლანდიაში.

კონტინენტური ენებია ამჟამად მკვდარი ენები - **გალური** და **კელტიბერიული**. გალური ძველი საფრანგეთის გალიის ენა იყო, კელტიბერიული კი გავრცელებული იყო იბერიის ნახევარკუნძულის (ახლანდელი პირენეს ნახევარკუნძულის) ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

კუნძულის კელტური ენები თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: ბრიტული შტო და გაელური ან გოიდელური შტო. ბრიტულ შტოში შედის უელსური ენა, კორნუოლური ენა და ბრეტონული. ბრიტულ შტოში გამოირჩევა **უელსური ენა**, რომელსაც მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია აქვს, განსაკუთრებით საშუალო უელსურ ენაზე შექმნილი. უელსი დიდი ბრიტანეთის მნიშვნელოვანი ნაწილია ინგლისთან და შოტლანდიასთან ერთად. უელსური ენა არის უელსის ოფიციალური ენა ინგლისურ ენასთან ერთად.

კორნუოლური ენა მკვდარ ენად ითვლება მე-18 საუკუნიდან. ეს ენა გავრცელებული იყო კორნუოლში, დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ნახევარკუნძულზე.

ბრეტონულ ენაზე ლაპარაკობენ ბრეტანში, საფრანგეთის დასავლეთ პროვინციაში. ბრეტანი ნიშნავს პატარა ბრიტანეთს (Brittany, ფრანგულად Bretagne - Little Britain). ეს ენა ბრიტანეთის კუნძულებიდან გავრცელდა საფრანგეთში მე-5 - მე-7 საუკუნეებში და უკავშირდება ბრიტანელი კელტების გადასახლებას საფრანგეთში ანგლო-საქსების

მიერ ბრიტანეთის დაპყრობის შედეგად. ბრიტანეთიდან გადასახლებულმა კელტებმა მათ მიერ საფრანგეთში დაარსებულ პროვინციას უწოდეს პატარა ბრიტანეთი. სწორედ აქ განვითარდა ახალი კელტური ენა - ბრეტონული, რომელიც ლინგვისტურად ახლოსაა უელსურ და კორნუოლურ ენებთან.

კელტური ენების **გაელურ** ან **გოიდელურ** ჯგუფში შედის: **ირლანდიური**, **შოტლანდიური** და **მენური** ენები.

კელტურ ენების გაელური შტოდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი და საშუალო ირლანდიური ენა. ძველ და საშუალო ირლანდიურ ენაზე შექმნილია მრავალი წერილობითი ძეგლი, რომელთაც ჩვენს დრომდე მოაღწია. მაგალითისათვის, ადრეული ირლანდიური ენის ლექსიკონი 2500 გვერდს მოიცავს, რაც სრულ სურათს ქმნის ენის იმჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

ირლანდიური ენის საფუძველზე განვითარდა შოტლანდიური ენა შოტლანდიაში და მენური ენა, კუნძულ მენის ენა, რომელიც დღეს მკვდარ ენად ითვლება. კელტური შოტლანდიური დღეს გადაშენების პირას მყოფი ენაა (endangered language). მასზე მოსახლეობის მხოლოდ 1.5 პროცენტი ლაპარაკობს შოტლანდიის მაღალმთიან რეგიონებში. დღეისათვის კელტური შოტლანდიური იქცა შოტლანდიელების იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილად და არის მცდელობა ამ ენის უფრო ფართოდ გამოყენების. აღსანიშნავია, რომ პოპ-მუსიკოსებიც კი ცდილობენ სიმღერები ამ ენაზე შეასრულონ და ამით ხელი შეუწყონ შოტლანდიური ენის პოპულარიზაციას.

ბერძნული ენა

ამ შტოში შედის ბერძნული ენა თავისი დიალექტებით. ბერძნულმა ენამ განვლო განვითარების სამი პერიოდი: ძველი ან კლასიკური ბერძნული, საშუალო ან ბიზანტიური ბერძნული და ახალი ბერძნული (მე-16 საუკუნიდან). ბერძნული ენის დიალექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ათენის დიალექტი, ატიკური დიალექტი, რომელზეც წერდა ფილოსოფოსი პლატონი.

სომხური ენა

სომხური ენა არის განკერძოებით მდგომი ენა. წერილობითი ძეგლები სომხურ ენაზე დასტურდება ჩვ. წ.-ის მე-5 საუკუნიდან. სომხური ენის გაერთიანება ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან სომხურში ბევრი ნასესხობაა ირანული ენებიდან. რთული იყო იმის დადგენა, იყო თუ არა სომხური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის ცალკე შტო, თუ იგი ირანულ ენათა ჯგუფში ერთიანდებოდა. მხოლოდ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საბოლოოდ დადგინდა 500-მდე ინდოევროპული ძირის სიტყვა, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა როგორც ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები, ანუ პროტო-ინდოევროპული ენიდან მემკვიდრეობით მიღებული სიტყვები (inherited words) და არა ნასესხობა. სწორედ ამან განაპირობა სომხური ენის აღიარება დამოუკიდებელ ინდოევროპულ ენად.

ალბანური ენა

ალბანური ენა ასევე განკერძოებით მდგომი ენაა. იგი სახელმწიფო ენაა ალბანეთის რესპუბლიკაში (ბალკანეთის ნახევარკულდულის დასავლეთით მდებარე სახელმწიფო). პირველი წერილობითი ძეგლები ალბანურ ენაზე მე-14 საუკუნით თარიღდება. ალბანურ ენაში ბევრი ნასესხობაა ბერძნულიდან, ლათინურიდან, თურქულიდან და სლავური ენებიდან. ამიტომ, ალბანურ ენას და ენობრივ მონაცემებს არ უთამაშია დიდი როლი პროტო-ინდოევროპული ენის რეკონსტრუქციის პროცესში.

ინდური ენები

უძველესი ინდური ენაა **სანსკრიტი**, რომელმაც უდიდესი მნიშვნელობა ითამაშა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისა და პროტო-ინდოევროპული ენის რეკონსტრუქციის საქმეში. სანსკრიტი ნიშნავს „დამუშავებულს, სრულყოფილებამდე მიყვანილს“. “ინდოეთის ლათინურ ენად” წოდებული სანსკრიტი ორი სახით არის შემორჩენილი: ვედური სანსკრიტი და კლასიკური სანსკრიტი. უძველესი წერილობითი ძეგლები ვედურ სანსკრიტზე თარიღდება ძვ. წ.

II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით და ესაა ინდოეთის ძველი რელიგიურ-ფილოსოფიური ძეგლების ენა. კლასიკური სანსკრიტი სათავეს იღებს ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე და მასზე შექმნილია უმდიდრესი ლიტერატურა, რომელმაც მოიცვა ისეთი ჟანრები, როგორცაა: ეპიკური პოემები, ზღაპრები და იგავ-არაკები, დრამატურგია, ლირიკა, რომანი და სხვა.

ახალი ინდური ენებია: **ჰინდი, ურდუ, ბენგალური, პენჯაბური** და სხვა ენები.

ირანული ენები

უძველესი ირანული ენაა **ავესტური ენა**. ეს ენა შემოინახა ძველ ირანელთა რელიგიის - ზოროასტრიზმის უძველესმა წერილობითმა ძეგლმა ავესტამ. ავესტური ენა იმდენად ჰგავს სანსკრიტს, რომ მას დიდი ხნის განმავლობაში სანსკრიტის დიალექტად მიიჩნევდნენ და მოგვიანებით მიაკუთვნეს ირანული ენების შტოს.

ირანულ ენებს ასევე განეკუთვნება: **ძველი სპარსული, ახალი სპარსული, ტაჯიკური, პუშტუ (ანუ ავღანური), ოსური, ქურთული** და სხვა.

ანატოლიური ენები

ანატოლიური და ტოხარული შტოები არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა აღმოჩენილი მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ანატოლიური შტო მოიცავს მკვდარ ენებს, ესენია: **ხეთური, ლუვიური და პალაური**. ამ ენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ხეთური ენა, ხეთების იმპერიის ენა ძვ. წ.-ის პირველ ათასწლეულში. ხეთურ ენაზე შემორჩენილია 25,000 თიხის ფირფიტა სხვადასხვა ადმინისტრაციული, რიტუალური თუ მითოლოგიური შინაარსის ტექსტებით.

ანატოლიურ ენებზე ლაპარაკობდნენ დაახლოებით თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.

ტოხარული ენები

ტოხარული ენები ასევე მკვდარი ენების შტოა. ეს შტო პირობითად იყოფა ორ ნაწილად: ტოხარული A და ტოხარული B. ამ ენებზე ოდესღაც ლაპარაკობდნენ ცენტრალურ აზიაში, თანამედროვე ჩინეთის ერთ-ერთ დასავლეთ პროვინციაში და როგორც აღინიშნა, ეს ენებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა აღმოჩენილი.

კენტუმ და სატემ ენები

ინდოევროპულ ენებს ყოფენ ორ ჯგუფად: კენტუმ ენები და სატემ ენები (centum and satem languages). ასეთი დაყოფა ეფუძნება პროტო-ინდოევროპული დორსალური თანხმოვნების ('K' და 'G' ტიპის ბგერები) ევოლუციას სხვადასხვა ინდოევროპულ ენებში. კენტუმ-ენებში ეს ბგერა განვითარდა როგორც ყრუ ხშული თანხმოვანი 'k'. სატემ-ენებში კი იგი ხშირად ჩამოყალიბდა, როგორც ყრუ სპირანტები [s] ან [ʃ]. ეს პროცესი კარგად ჩანს რიცხვითი სახელი „ასის“ მაგალითზე. ინდოევროპული აღდგენილი ფორმა სიტყვისთვის „ასი“ არის **kmtóm*. ლათინურში რიცხვითი სახელი „ასი“ – centum იკითხება თანხმოვნით 'k' – [kentum], ბერძნული (*he*)*katon*, უელსური *cant*, ტოხარული B *kante*.

ტერმინი satem ავესტური ენისგან მომდინარეობს და აღნიშნავს რიცხვით სახელს „ასი“. სატემ-ენები ძირითადად არის ინდურ-ირანული და ბალტიკურ-სლავური ენები. „ასი“ ასე გამოიყურება ამ ენებში: სპარსული *sad*, სანსკრიტი *śatam*, რუსული *cmo*, ლატვიური *simts*, ლიტვიური *šimtas*.

ქართველური და კავკასიური ენები

ქართული ენა შედის ქართველურ ენათა ჯგუფში და იგი ამ ჯგუფის უმთავრესი ენაა. მისი მონათესავე ენებია: **ზანური** და **სვანური**. არნ. ჩიქობავას მიხედვით, ზანური პირობითი სახელია იმ ენისა, რომლის კილოებსაც შეადგენენ **მეგრული** და **ჭანური**,

ანუ ლაზური. ქართველურ ენებს ასევე უწოდებენ იბერიულს ან სამხრეთ კავკასიურს. ქართველური ენები ქართულ ანბანს იყენებენ.

გარდა ქართველური ენებისა, კავკასიაში გამოყოფენ კავკასიური ენების სამ ჯგუფს, ესენია: აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური.

ქართველური ენები დღეისათვის არ განიხილება კავკასიური ენების მონათესავე ენებად. რაც შეეხება კავკასიურ ენებს, მეცნიერები უშვებენ ნახური და დაღესტნური ენების ნათესაობის შესაძლებლობას, თუმცა აფხაზურ-ადიღურის მათთან ნათესაობის საკითხი ამ ეტაპზე სარწმუნოდ არ მიაჩნიათ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ენათა ნათესაობის დადგენის საკითხი ენობრივი მონაცემების არსებობას მოითხოვს. ფაქტია, რომ კავკასიური ენებიდან მხოლოდ ქართულ ენას აქვს უძველესი წერილობითი ტრადიცია ჩვ. წ.-ის მე-5 საუკუნიდან, ასევე მცირე რაოდენობის წარწერები და ტექსტებია შემორჩენილი ალბანურ და მის მონათესავე უდიურ ენაზე. ამდენად, კავკასიური ენების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევისათვის არ არის საკმარისი მონაცემები. ასევე არ დასტურდება კავკასიური ენების ნათესაობა მსოფლიოს სხვა ენათა ოჯახებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ერთიანობის იდეას მეცნიერები მხარს არ უჭერენ. უფრო პერსპექტიულად გვესახება ის კვლევები და დაგროვებული მონაცემები, რომლებიც უკავშირდება სტრუქტურულ თანხვედრებს ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი 1995).